# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 16 სექტემბერი, 2009 წელი.

№ 182-184 (6282-6284)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.






## როცა დუმილი ოქრო კი არა, დანაშაულია! ②

ბატონო პრეზიდენტო და ბატონო სახელმწიფო მინისტრო, ზურაბ ჭვანიას მკვლელობის მონაწილეობა-თვითმხილველობას გაბრალებენ და რად დუმხართ?!

**არჩილ გეგეშიძე:** შესაძლოა, სოხუმისა და ცხინვალის მაღიარებელთა რიცხვი გაიზარდოს, მაგრამ ამას საერთაშორისო სამართლის სუბიექტად ქცევის ③ თვალსაზრისით მნიშვნელობა არ ექნება

## ④ უმძიმესი დემოგრაფიული სიტუაცია გადაშენებას გვიქადის

## პოლიქრონიონ, პოლიქრონიონ – შეზღუდული დემოკრატია ② აუცილებელია „სრულფასოვანი ორსულობისთვის“





## ფრთხილად, ㊻ მიხიჩ!

## ზუგდიდს ტერორისტები ㊼ შეეჩვივნენ



## რას ზეიმობს ქართული დიპლომატია

საქართველოს მიერ გენერალურ ასამბლეაში განსახილველად შეტანილი დოკუმენტის პროექტს მხარი 48 სახელმწიფომ დაუჭირა. 19-მა ქვეყანამ მის საწინააღმდეგოდ მისცა ხმა, 78-მა კი თავი შეიკავა. 47-მა სახელმწიფომ კენჭისყრაში მონაწილეობა საერთოდ არ მიიღო. ㊺



## ③ ფრთხილად, მდიდრებს ④ მყუდროება არ დაურღვიოთ!

ჩვენ ყველაზე ნიჭიერები, ყველაზე გაბედულები და ყველაზე... ლატაკები ვართ





◉ ეჭვო, საიდან მოდიხარ?!

# როცა დუმილი ოქრო კი არა, დანაშაულია!

## ბატონო პრეზიდენტო და ბატონო სახელმწიფო მინისტრო, ზურაბ ჟვანიას მკვლელობის მონაწილეობა-თვითმხილველობას გაბრალებენ და რად დუმხართ?!

**გაზეთ „კვირის ქრონიკის“ ბოლო ნომერში (14-20 სექტემბერი, 2009 წ.) ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარის შალვა ნათელაშვილის სკანდალური ინტერვიუ გამოქვეყნდა. ვკითხულობდით მას და თვალებს არ ვუჯერებდით — ნუთუ დიდი მომავლის მქონე პოლიტიკოსისა და მოღვაწის ზურაბ ჟვანიას მკვლელობა, რომელიც დღემდე ბურუსით არის მოცული და ყველას პირზე აკერია, მართლა საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის თვალწინ მოხდა და ეს დიდი ეროვნული ტრაგედია ქვეყნის პირველი პირის ხელდასხმით დღემდე იმალება? არადა ზუსტად ამ ბრალდებას უყენებს ნათელაშვილი პრეზიდენტ სააკაშვილს.**

ჟურნალისტის კითხვაზე, თუ სად მოხდა ჟვანიას მკვლელობა, ნათელაშვილი დარწმუნებით უპასუხებს: შავნაბადაზეო.

„ — და სააკაშვილის თვალწინ მოხდა ეს?

— დიახ. რა თქმა უნდა, იქ ბრძანდებოდა, აბა, სააკაშვილის გარეშე შავნაბადაზე ვინ შევიდოდა? მკვლელობა რომ მოხდა და იქიდან მერე ყველანი გამოიქცნენ სხვადასხვა მიმართულებით, მგონი, სააკაშვილმა მოახდინა ავარია, ხოლო ბარამიძემ, ამ ნაძირალამ, ტელევიზორის ყუთით საკუთარი ზურგით მიიტანა იმ ბინაში ზურაბ ჟვანიას გვამი! დიახ, ეს ქნა ნაძირალა გიორგი ბარამიძემ, ამ მკვლელმა, რომელმაც, სხვათა შორის, საქართველოს უახლეს ისტორიაში არაერთი სისხლიანი, შავი ფურცელი ჩაწერა. მაგალითად, სააკაშვილის ბრძანებით, გადაწვა და ამოწყვიტა აფრასიძეების ოჯახი სვანეთში და მერე სვან ქალებს კუბდარს სთხოვდა. დიახ, მაგ ნაძირალამ ტელევიზორის ყუთით მიიტანა ჟვანიას გვამი ბინაში და იქნებ ჰკითხოთ ბარამიძეს, სად ნახა ტელევიზორის ყუთი და სად ნახა ჟვანიას გვამი?“

კი ამბობთ ხშირად და ხაზგასმით, ბატონო პრეზიდენტო (და ამაში, როგორც ყველაფერში, თქვენი ხელქვეითი თანამოაზრეებიც გბაძავენ, ქართულ ჟურნალ-გაზეთებს არ ვკითხულობთო (არა გვგონია, ეს ხალხის თვალში ღირსებასა და პატივს გმატებდეთ! მაგრამ ეს, დაგვეთანხმებით, ის შემთხვევაა, როცა საგაზეთო პუბლიკაციის უყურადღებოდ დატოვება და დუმილი ოქრო კი არა, დანაშაულია!

გთხოვთ, გამოეხმაუროთ, თუნდაც თქვენი პრესსამსახურის მეშვეობით, ბატონო პრეზიდენტო, ამ ამაზრზენ ცნობას, თორემ ხალხში დათესილი ეჭვი კიდევ უფრო აზვირთდება!

ეს აუცილებელია, ბატონო პრეზიდენტო — ეჭვზე მაღლა მარტო კეისრის ცოლი კი არ უნდა იდგეს (უთუოდ გეცოდინებათ ეს ისტორია), არამედ, უწინარესად, თვით „კეისარი“, ანუ ამ შემთხვევაში პრეზიდენტი!

თქვენ მაინც თქვით რამე, ბატონო გიორგი ბარამიძევ, თქვენ ხომ მარტო თანამოაზრე-თანაპარტიელის კი არა, უახლოესი პირადი მეგობრის (ყოველ შემთხვევაში ასეთად მიიჩნევდით იმ საბედისწერო ღამემდე ზურაბ ჟვანიას) მკვლელობის მონაწილეობა-თვითმხილველობის გაბრალებენ!

იმედია, ახლა მაინც დაარღვევთ დუმილს, რაც უკვე კი აღარ გიცავთ, არამედ თქვენს წინააღმდეგ რეკავს!..

„სრ“ რედაქცია

◉ თვალსაზრისი

# პოლიქრონიონ, პოლიქრონიონ – შეზღუდული დემოკრატია აუცილებელია „სრულფასოვანი ორსულობისთვის“

**ნახევრად დემოკრატია ისევე არ არსებობს, როგორც ნახევრად ორსული, და ისიც, რომ „დემოკრატია ლობიოს ჭამა არ არის“, დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე მოვისმინეთ, ხუმრობად აღვიქვით და არაორდინარული შედარების გამო გულიანადაც გავიცინეთ. იმ დროს ლობიოც მაგარ მოდაში იყო და დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებაზეც არავინ ზრუნავდა. ალბათ იმიტომ, რომ ქვეყნის ხელისუფლების უმაღლეს პირებს ასაკი უშლიდა. დრო შეიცვალა, ქართული სახელმწიფო შედგა. ეს იმის მიუხედავად, რომ ახლა საქართველოს გაუყოფელ რეგიონებს მტერი დაპატრონებია და ვენესუელის პრეზიდენტი კოკოითს როგორც ტოლი-ტოლს ისე ესაუბრება. ამის პარალელურად კი ამერიკის დემოკრატიის მამების ნაშრომებს ნაზიარები და არა მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიებზე აღზრდილნი საქართველოში დემოკრატიას აშენებენ, რომელიც რეალობაში დემოკრატიის სუროგატი უფროა. ამ სუროგატს ხშირად შეზღუდულ დემოკრატიას ეძახიან.**

ის, რომ ზოგადად პრაქტიკაში მოვიკოჭლებთ, დიდი პრობლემა არაა, რადგან თეორიაში ნაღდად მაგრები ვართ. მაგალითისთვის, უკვე ვიცით, რომ „ნებისმიერი სრულფასოვანი დემოკრატია ვითარდება, რათა გახდეს კიდევ უფრო დემოკრატიული, ჰყავდეს უფრო გახსნილი საზოგადოება“. ეს სიტყვები საქართველოს პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს ეკუთვნის და, რა თქმა უნდა, შეუძლებელია მას არ დაეთანხმო.

მაგრამ მიუხედავად ლამაზი თუ სხარტი ფრაზებისა, ქვეყანაში დაუძლეველ პრობლემად რჩება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, დამოუკიდებელი სასამართლო, საკუთრების უფლება და მასთან მიბმული უამრავი წვრილმანი თუ მნიშვნელოვანი საკითხი.

ამჯერად კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ დემოკრატიის ერთ-ერთ შემადგენელს — სიტყვის თავისუფლებას საქართველოში მნიშვნელოვანი პრობლემები აქვს.

პრობლემა არსებობს და ამას ისიც ადასტურებს, რომ საქართველოში აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტის ჯოზეფ ბაიდენის ვიზიტისას ქართველმა ჟურნალისტებმა მას და საქართველოს პრეზიდენტს ერთობლივი მიმართვაც კი გაუგზავნეს.

არა მხოლოდ პოზისთვის, არამედ რეალობის ხაზგასასმელად, მიმართვაში აღინიშნა, რომ „აშშ-ს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მსოფლიოში დემოკრატიის განვითარებაში, ასევე საქართველოს ახალგაზრდა დემოკრატიის დაცვაში“. ამ გარემოებიდან გამომდინარე, ჟურნალისტებმა მოითხოვეს გათავისუფლდეს ნაციონალური სატელევიზიო არხები, როგორც კერძო, ასევე საზოგადოებრივი მაუწყებელი ერთპარტიული სახელმწიფო წნეხისაგან. კვლავ დაისვა „იმედის“ მეპატრონისათვის დაბრუნების საკითხი, ასევე, აღინიშნა, რომ „ხელისუფლებამ უნდა შეწყვიტოს პრესის დისტრიბუციის მონოპოლიზების მცდელობა და მისცეს საშუალება ჟურნალისტებს, იმუშაონ დამოუკიდებლად, ზეწოლისა და მოსალოდნელი დასჯის შიშის გარეშე“, ყურადღება გამახვილდა ჟურნალიტებზე თავდასხმის ფაქტებზეც. ჟურნალისტებმა სთხოვეს ვიცე-პრეზიდენტ ბაიდენს ამ საკითხებით დაინტერესება და შესაბამისი შეფასებების გაკეთება.

იმის მიუხედავად, რომ საქართველოში ყველამ ყველაფერი იცის, ნამდვილად ვერ დავიჩემებ, რომ ჩემთვის ცნობილია, პასუხობს თუ არა ასეთი სახის მიმართვებს აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი. მაგრამ ფაქტია, რომ ბაიდენს ამ საკითხებზე საჯარო შეფასება არ გაუკეთებია და არც მიმართვის ავტორებს მიუღიათ რაიმე სახის საპასუხო ბარათი. უნდა ვივარაუდოთ, რომ ვიცე-პრეზიდენტმა ქართველი ჟურნალისტების მიმართვა იმავე დინებაში გაატარა, როგორშიც საქართველოს პრეზიდენტმა.

არადა, სხვა რომ არაფერი, არც აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტისთვის და არც საქართველოს პრეზიდენტისთვის ასეთი ქმედების საფუძველი ორ ქვეყანას შორის გაფორმებული ქარტიის პრინციპებს არ უნდა მიეცა. ქარტიის მე-4 ნაწილის პირველ პუნქტში წერია, რომ აშშ და საქართველო მზად არიან ითანამშრომლონ, „რათა ხელი შევუწყოთ დამოუკიდებელ მედიას, გამოხატვის თავისუფლებას და ობიექტური ახალი ამბებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, მათ შორის ჟურნალისტებისა და მედიისათვის დახმარების გაწევის გზით“. ქართველმა ჟურნალიტებმა სწორედ რომ დახმარება ითხოვეს. თუმცა, სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ჩვენთვის ხომ ისედაც ნათელი და ცნობილია, რომ დემოკრატიის განვითარებისათვის საქართველოში შემოსული დახმარებებიც კი ხელისუფლების განსაკარგია.

ისიც ფაქტია, რომ ხელისუფლება დემოკრატიის სახელით მედიასივრცეში ნაციონალურ ელექტრონულ მედიას ერთპიროვნულად განკარგავს. სხვა მედიასაშუალებებს კი იმავე დემოკრატიის სახელით პერმანენტულად ჰკლავს.

იქნებ ეს ყველაფერი შეზღუდული დემოკრატიის ატრიბუტია, რომელიც არადეკლარირებული, მაგრამ დიადი მიზნისთვის ხორციელდება. ვირწმუნოთ, რომ ეს მიზანი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა?! ამ შემთხვევაში კი უმჯობესია ვკითხოთ დემოკრატიის შეზღუდვის მომხრეებს — თუ ერთმნიშვნელოვნად გადაწყვეტილია, რომ დაკარგული ტერიტორიები ომით არ ბრუნდება, დემოკრატიის შეზღუდვით წარმატება როგორ უნდა მიიღწეს?

სეპარატისტულ ხელისუფლებებს თავს თუ დავანებებთ, რამ უნდა მოხიბლოს აფხაზები და ოსები? იმან, რომ ქართულ სასამართლოში სამართალს ვერ იპოვნიან, იმან, რომ მათი საკუთრება



დაცული არ იქნება? ან იქნებ იმან, რომ მათი, როგორც ადამიანების უფლებები არ იქნება გარანტირებულად დაცული — არ ექნებათ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება? თუ ვინმე საპასუხოდ იტყვის, რომ ეს მოხდება გაერთიანების შემდგომ, გონება იმას მაინც უნდა დააყოლოს, რომ საქართველოს ხელისუფლებაში მოკალათებული „ბიძია-ბაბუების“ (War Boyd ნება-სურვილს ასე ბრმად არავინ დათანხმდება. იქნებ სხვა გამოსავალი შემოგვთავაზონ და გვითხრან, რომ „აფხაზისა და ოსისთვის ის სტანდარტები არ იმუშავებს, რაც დანარჩენი მოსახლეობისთვისო“ და ეს ფორმულა ათასჯერ გაბახებულ კონსტიტუციაშიც ასახონ. ამ შემთხვევაშიც სათუოა, რომ ვინმე დავიყოლიოთ, რადგან კარგად ვხედავთ, რომ საქართველოში კონსტიტუციის ცვლილებები უმრავლესობის წევრთა იდეურ სიზმრებზე უფროა დამოკიდებული, ვიდრე ობიექტური რეალობის აღქმის უნარსა და აუცილებლობაზე. აბა, რომელი ჭკუათმყოფელი მიენდობა მავანის, სიფხიზლეში დაულაგებლის დალაგებულ სიზმრებს?

არის კიდევ უამრავი კითხვა, რომელზედაც ვერც ერთი პასუხი ვერ გამოდგება გარანტირებულ არგუმენტად ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად დემოკრატიის შეზღუდვის აუცილებლობაში. პირიქით რომ იყოს და ხელისუფლებას ქვეყანაში დემოკრატიის სრულყოფისთვის ერუდუნა, „რათა გახდეს კიდევ უფრო დემოკრატიული“, მაშინ ნამდვილად გაუჩნდებოდათ გარკვეული ხიბლი აფხაზებსა და ოსებსაც ეფიქრათ ერთიან სახელმწიფოზე. თუმცა დღეს ყველასათვის ცხადია, რომ ეს ილუზიაა და რეალობასთან კავშირში არაა.

ისე ფრიად საინტერესოა, გასულ წელს გაეროს გენერალურ ასამბლეაზე მეორე „ვარდების რევოლუციის“ დასაწყისისა და დემოკრატიის ახალი ტალღის გამომცხადებელი პრეზიდენტი რას ეტყვის ამ კუთხით მიღწეულ წარმატებაზე იმავე ასამბლეას? იმას ხომ არა, რომ მთავრობის წევრები ლობიოს არ მიირთმევენ, „სრულფასოვანი ორსულობის“ საკითხზე მუშაობა კი პირველი ვარდების რევოლუციიდან მოყოლებული აქტიურად გრძელდება. უფრო მეტიც, არეალი გაფართოვდა და დაორსულების თემებზე ტრენინგებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით ვატარებთო?

დიახ, ალბათ ასეა — პოლიქრონიონ, პოლიქრონიონ!... შესაბამისად უნდა შევიგნოთ — შეზღუდული დემოკრატია აუცილებელია „სრულფასოვანი ორსულობისთვის“.

**გოჩა მირცხულავა**
**ჯი-ეიჩ-ენ.**

ვარაუდი



*რა შანსები აქვს, რუსეთს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა სამხრეთ ამერიკის ან აფრიკის ქვეყნებს აღიარებინოს; რა შეიცვლება ამით სამართლებრივად; აგრეთვე, რა რეაქცია უნდა ჰქონდეს ქართულ მხარეს აგვისტოს ომთან დაკავშირებით რუსეთის მიმართ დასავლეთის ფრთხილ მიდგომაზე, რას შეიძლება ნიშნავდეს რუსეთის მხრიდან საერთაშორისო თანამეგობრობის მოთხოვნათა იგნორირება, „ინტერპრესნიუსი" პოლიტოლოგ არჩილ გეგეშიძეს ესაუბრა.*

# არჩილ გეგეშიძე: შესაძლოა, სოხუმისა და ცხინვალის მაღიარებელთა რიცხვი გაიზარდოს, მაგრამ ამას საერთაშორისო სამართლის სუბიექტად ქცევის თვალსაზრისით მნიშვნელობა არ ექნება

**— ბატონო არჩილ, ნაკლებად სავარაუდოა, ევროკავშირის ქვეყნებმა, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით, პოზიცია შეიცვალონ, მაგრამ რა შანსები აქვს რუსეთს, სოხუმისა და ცხინვალის დამოუკიდებლობა აღიარებინოს სამხრეთ ამერიკის ან აფრიკის ქვეყნებს?**

— რთულია ამ ალბათობების შეფასება, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ დროთა განმავლობაში რამდენიმე ქვეყანა შეემატოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მაღიარებელთა რიცხვს. ჩვენ ამისთვის მზად უნდა ვიყოთ. ჩემი ვარაუდით, დროთა განმავლობაში, შესაძლოა, ასეთი 8-10 ქვეყანა დაგროვდეს. თანამედროვე მსოფლიოში იცვლება კონიუნქტურა, იცვლება ძალთა ბალანსი, პრიორიტეტები და არ არის გამორიცხული, რამდენიმე ქვეყანა შეემატოს ამ რეგიონების მაღიარებელთა რიცხვს. ყოველ შემთხვევაში, ბევრად უფრო დიდია ალბათობა, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მაღიარებელთა რიცხვი გაიზარდოს, ვიდრე, ვინც არიან, იმათ დაიკლონ. ანუ, ეს აღიარება უკან გაიწვიოს ნიკარაგუამ, ვენესუელამ ან რუსეთმა. ეს შეიძლება იყოს კუბა ან რომელიმე სხვა ისეთი ქვეყანა, სადაც დასავლეთის გავლენა შედარებით ნაკლებია და რუსეთს აქვს ბერკეტები, ასეთი ტიპის მთავრობებზე ზემოქმედება მოახდინოს. შესაძლოა, ეს იყოს შეღავათები სამხედრო ტექნიკით ვაჭრობაში, ენერგომომარაგებისა და სხვა საკითხებში. ამიტომ ვვარაუდობ, რომ დროთა განმავლობაში არ არის გამორიცხული, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მაღიარებელთა რიცხვი გაორმაგდეს ან გასსამმაგდეს. ამ თვალსაზრისით გარკვეული პოზიცია უნდა გვქონდეს შემუშავებული. ანუ, რას ვაკეთებთ ასეთ შემთხვევაში, რა დამოკიდებულებას შევიმუშავებთ ასეთი ქვეყნების მიმართ, აქედან ჩვენ ტრაგედიას ვქმნით, თუ უფრო მშვიდად ვეგუებით ასეთ მოვლენებს? გააჩნია კიდევ იმას, რომელი ქვეყნები აღიარებენ. თუკი ვინმე აღიარებს, ალბათ, ეს ქვეყნები საერთაშორისო პოლიტიკაში დაბალი წონის მქონე ქვეყნები იქნებიან. სამართლებრივად ამას, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საერთაშორისო სამართლის სუბიექტად ქცევის თვალსაზრისით, რამე მნიშვნელობა არ ექნება. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ვერც გაეროსა და ვერც რომელიმე საერთაშორისო კონვენციის წევრები ვერ გახდებიან, იმის გათვალისწინებით, რომ სავარაუდო მაღიარებლების წონა საერთაშორისო ასპარეზზე უმნიშვნელო იქნება. შესაბამისად, ამ აღიარებებით აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისთვის არაფერი შეიცვლება.

**— როგორც ჩანს, ევროსაბჭოს ასამბლეის მორიგი სესია, რომლის სხდომა თვის ბოლოსთვის არის დაგეგმილი, რუსეთის მიმართ დაბალანსებისა და „რეალპოლიტიკის" გათვალისწინებით მიიღებს მორიგ რეზოლუციას. ანუ, რუსეთს არც ხმის უფლებას ჩამოართმევენ და მის მიმართ არც რამე სანქციებს დააწესებენ. ამ შემთხვევაში, როგორი შეიძლება იყოს ქართული მხარის რეაქცია და დამოკიდებულება ევროსაბჭოს რეზოლუციისადმი?**

— აქაც შეიძლება მხოლოდ ვარაუდები გამოვთქვათ, რა ტიპის სანქციებზე შეიძლება წავიდეს ევროსაბჭო. დღეს საუბრობენ, რომ შეიძლება, ევროსაბჭოში რუსეთს ხმის უფლება შეუჩერდეს. რუსეთს ევროპის საბჭოს დაშანტაჟების საშუალება აქვს, მან შეიძლება თქვას — მე საერთოდ შევაჩერებ ჩემს მონაწილეობას ევროპის საბჭოში, რითაც მერყევ ევროპელებს შეიძლება ცოტა შეეშინდეთ კიდეც. ამიტომ ვფიქრობ, რომ ამ საკითხის გადადების მიზანით, გარკვეულწილად, შუალედური ჟღერადობის გადაწყვეტილებები იქნება მიღებული. ამგვარი გადაწყვეტილება, ერთი მხრივ, საქართველოს დაუტოვებს რუსეთის მიმართ მკაცრი სანქციების მიღების იმედებს, მაგრამ, მეორე მხრივ, რუსეთს მისცემს იმედს, რომ შესაძლოა, ევროკავშირმა დროთა განმავლობაში ამ საკითხებში სიმწვავე შეარბილოს.

**— ანუ, ორივე მხარე ილუზიების ტყვეობაში დარჩება?**

— მოდით, ამას ილუზიას ნუ დავარქმევთ. ჩემი აზრით, ისეთი გადაწყვეტილება იქნება მიღებული, რომ ორივე მხარეს შიდა აუდიტორიასთან მანევრის ან თავის სასარგებლოდ რეზოლუციის ინტერპრეტირების, გარკვეული მოლოდინის შექმნის საშუალება ექნება, რაც რეალურ პოლიტიკაზე, რა თქმა უნდა, არ იმოქმედებს. რა გადაწყვეტილებაც უნდა მიიღოს ევროპის საბჭომ, რაც უნდა სავალდებულო იყოს მისი გადაწყვეტილებები, რუსეთი მათ არ შეასრულებს.

წარმოუდგენელი რამ რომ წარმოვიდგინოთ, ვთქვათ, გაეროს უშიშროების საბჭომ დააკისროს რუსეთს ისეთი რამის შესრულება, რაც კრემლს არ სურს, რუსეთი მას ყველანაირი საბაბით არ შეასრულებს. ამიტომ დღევანდელ ეტაპზე ასე ჩანს — როგორი გადაწყვეტილებაც უნდა მიიღოს ევროსაბჭოს ასამბლეამ, იგი რეალურ პოლიტიკაზე ნაკლებად აისახება. ვნახოთ, როგორ შეიცვლება ძალთა ბალანსი მომავალში. გლობალური კრიზისიდან ვინ როგორ, რა დანაკარგებით ან რა რესურსით და შენაძენით გამოვა. ამის შემდეგ გაირკვევა, ვის რა შანსები აქვს.

**— როგორი რეაქცია შეიძლება ჰქონდეს ვენეციის კომისიას რუსეთის სათათბიროს გადაწყვეტილებაზე, მოქალაქეთა დაცვის მიზნით სხვა ქვეყნებში რუსული ჯარის გამოყენების შესახებ? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ 2001 წელს, როცა რუსეთმა შესწორებები შეიტანა „კანონში მოქალაქეობის შესახებ", აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრებლებს რუსეთის მოქალაქეობის მიღების გამარტივებული წესით საშუალება მიეცათ, მაშინ რუსეთმა საერთაშორისო თანამეგობრობის რეკომენდაციების გათვალისწინებაზე უარი თქვა... რუსეთი თუ არც ერთი საერთაშორისო ინსტიტუტის რეკომენდაციას არ ითვალისწინებს, რისი იმედი შეიძლება გვქონდეს?**

— რუსეთის ქცევა ერთგვარი გამოწვევაა საერთაშორისო თანამეგობრობისა და საერთაშორისო სამართლის სისტემისთვის. სხვათა შორის, ამგვარი ქცევისთვის რუსეთს აქვს თავისი არგუმენტები. საერთაშორისო სამართლის სისტემის პირველი რყევები დასავლეთისა და ზოგიერთი ქვეყნების მოქმედებებმა გამოიწვია. ყველაფერი კოსოვოთი, 1999 წელს ნატოს მიერ სერბეთის დაბომბვით დაიწყო და 2008 წელს კოსოვოს დამოუკიდებლობის ცნობით დაგვირგვინდა. რუსეთი სარგებლობს ამ არგუმენტით, რომ თუ სხვას შეუძლია, მას რატომ არ უნდა შეეძლოს? უნდა ვთქვათ, რომ დასავლეთში ანგელოზები არ არიან და შეცდომები მათაც მოსდით. რუსეთი დასავლეთის შეცდომებს თავის სასარგებლოდ იყენებს. საქმე გვაქვს ვითარებასთან, როცა საერთაშორისო სამართლის მდგრადობა უეჭველი აღარ არის და ეს არის ყველაზე ცუდი და სახიფათო, განსაკუთრებით პატარა ქვეყნებისთვის. ამ რეალობას ჩვენ თვალი უნდა გავუსწოროთ და აქედან გამომდინარე უნდა დავსახოთ ჩვენი სამომავლო ამოცანები.

**— რუსეთის პოლიტიკურ წრეებში უყვართ საუბარი მსოფლიოს მრავალპორალუსიანობაზე. რამდენად სავარაუდოა, რუსეთის ირგვლივ ან რუსეთის მონაწილეობით მსოფლიოში მეორე პოლუსის ჩამოყალიბება?**

- თუ დავუშვებთ, რომ ერთპოლუსიანი სისტემიდან მსოფლიო გადადის ორ და მრავალპოლუსიან სისტემაზე, მაშინ ერთ-ერთი პოლუსი, რა თქმა უნდა, იქნება რუსეთი. ასე შეიძლება იქნეს თუნდაც იმიტომ, რომ რუსეთი მსოფლიოში მეორე ბირთვული ზესახელმწიფოა. რუსეთი იმ შემთხვევაშიც იქნება ერთ-ერთი პოლუსი, ეკონომიკურადაც რომ ძალიან სუსტი იყოს. ყოველ შემთხვევაში, ის შეინარჩუნებს გაეროს უშიშროების საბჭოში ვეტოს უფლებას და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში წამყვან პოზიციებს. სხვა ამბავია, ეს პოლუსი იქნება თუ არა თანასწორი მთავარი პოლუსის, ამ შემთხვევაში შეერთებული შტატების. ყველაფერი შედარებითია, ამიტომ სხვა სავარაუდო პოლუსად შეიძლება, მოვიაზროთ ჩინეთი ან სხვა რეგიონული მოთამაშეები.

**კობა ბენდელიანი**

დასვენება ევრო-ქობულეთურად

# ფრთხილად, მდიდრებს მყუდროება არ დაურღვიოთ!

## ჩვენ ყველაზე ნიჭიერები, ყველაზე გაბედულები და ყველაზე... ღატაკები ვართ

**ეს ბოლო სიტყვები მიშასაც რომ არ ეთქვა (ლაპარაკია პრეზიდენტზე), მსოფლიომ უამისოდაც მშვენივრად იცოდა ქართველების უებრო ნიჭიერების ამბავი. სხვა ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, მარტო ის ფაქტი, რომ ქვეყნის წინამძღოლობაზე არჩევანი მიხეილ სააკაშვილზე შევაჩერეთ, განა ამაზე არ მეტყველებს? აღარაფერს ვამბობ გამბედაობაზე, რომლის წყალობითაც რუსები არა მარტო დავამარცხეთ, მათი მხდალობისა და ჩვენი სიჩაუქის დასტურად, ზედ აფხაზეთი და სამაჩაბლოც მივაყოლეთ. რაც შეეხება სილატაკეს, ვიფიქრე, მოზეიმე თერჯოლაში ერის სახოტბოდ ქადაგად დავარდნილ მეფეს ეს უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი ჩვენი ღირსებისა გამორჩა-მეთქი და პირადი ინიციატივით წავამატე.**

ისე, უნდა ვაღიარო (ცოდვა აღიარებული სჯობსძ, ეტყობა არასწორად მოვიქეცი, როცა სილატაკე ჩვენს იგავმიუწვდომელ ნიჭიერებას, გამორჩეულ პატიოსნებას და ეროვნულობას მივატმასნე. რა ვქნა, წერილის შესავლად ღირებული ვერაფერი მოვიფიქრე და ისევ მიშას მეტაფორებით გაძეძგილ კიდობანს მივადექი. ეს დალოცვილიშვილი ყოველ თავის წრუწუნა გამოსვლაშიც კი (გნებავთ ამ დღეებში მის მიერ თელავში დადგმული საცირკო წარმოდგენა გაიხ-



სენეთძ ერის საგანძურიდან იმდენ ფარჩა-ატლასს გადმოფენს ხოლმე, რომ ჩვენს სანადირო მწევრებივით დაგეშილ ტელეარხებსა და ჭორიკანა ჟურნალ-გაზეთებს მთელი თვეობით ჰყოფნით. ჰოდა, მეც წამცდა და კბილი გავკარი (!ძ.

ახლა კი პრეზიდენტის საარაკო ლექსიკით პირის ჩატკბარუნების შემდეგ თავს უფლებას მივცემ უშუალოდ ჩემს დღევანდელ თემაზე — ევროქობულეთურად დასვენების საკითხზე გადავიდე. თუმცა თანამედროვე დასვენების ევროპულ კომფორტზე საუბრისას არ შემიძლია არ გავიხსენო ის შუასაუკუნეობრივი, ყოვლად ჩამორჩენილი, უკომფორტო სისტემა, თუ მეთოდი, რომელსაც კომუნისტები შვებულების პეროდში ჩემი თაობის ადამიანებს სთავაზობდნენ. გვთავაზობდნენ კი არა, შეიძლება ითქვას, პირდაპირ გვაიძულებდნენ, აგველო რაღაც პროფკავშირული საგზურები და გვსურდა თუ არ გვსურდა, მათსავე მოგონილ რაღაც სანატორიუმებში, პანსიონატებსა თუ ეგრეთ წოდებულ დასასვენებელ სახლებში გვეყურყუტა.

იხ. 4 გვ.

◉ წერილი რედაქციას

# უმძიმესი დემოგრაფიული სიტუაცია გადაშენებას გვიქადის

## ქუთაისელი მრავალშვილიანი დედების მიმართვა საქართველოს პრეზიდენტს და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს

სამწუხარო ფაქტია, თუმცა რეალობაა, რომ ბოლო რამდენიმე წელიწადია გაერო სისტემატურად აძლევს გამაფრთხილებელ SOS-ს სიგნალებს ქართულ ხელისუფლებას იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველო დემოგრაფიულად მომაკვდავ სახელმწიფოთა რიგში დგას. დღეს უკვე გათვლილია ისიც, რომ თუ არ გადაიდგმება კონკრეტული ნაბიჯები ქართული გენოფონდის აღსადგენად, 2050 წლისათვის ქართული მოსახლეობის წილი ჩვენს ქვეყანაში 42 პროცენტით შემცირდება, მაგრამ ჩვენი სახელმწიფოს ლიდერებს არ სურთ თვალი გაუსწორონ რეალობას და დღევანდელი პოლიტიკური თუ სოციალ-ეკონომიკური პრობლემებიდან გამომდინარე, გააკეთონ სათანადო ლოგიკური დასკვნები.

ქუთაისელი მრავალშვილიანი დედები უმეტეს შემთხვევაში იმდენად მძიმე სოციალ-ეკონომიკურ პირობებში ცხოვრობენ და ისე არიან გატანჯულები და დანევროზებულები საკუთარი შვილების პრობლემების მოგვარებით, რომ ხშირ შემთხვევაში იმის დრო და საშუალებაც კი არ რჩებათ, რომ ხელისუფლებამდე თავიანთი გასაჭირი მიიტანონ, ხელისუფლება კი ცდილობს მათი პრობლემები სამ თვეში ერთხელ მიცემული ერთჯერადი დახმარებით მოიცილოს თავიდან.

სამ თვეში ერთხელ, თუ წელიწადში ერთხელ მიცემული პერმანენტული დახმარებები საკმარისი არ არის იმისათვის, რომ დედამ შვილის გაჩენაზე და ერის გამრავლებაზე იფიქროს. დღევანდელი რეალობა კი ის გახლავთ, რომ ქუთაისის თვითმმართველობის აპარატი გაუაზრებლად ართმევს მრავალშვილიან დედებს, რომლებსაც ჰყავთ 5 და მეტი შვილი გასაზრდელი, მრავალშვილიანი დედის სტატუსს, მხოლოდ იმ მოტივით, რომ მას აღარა ჰყავს 4 არასრულწლოვანი შვილი, რაც გახლავთ პოლიტიკურად არამოტივირებული ნაბიჯი, რადგან ყველაზე მეტი ამომრჩეველი, ყველაზე მეტი „კომანდოსი“ სწორედ ამ ოჯახებში იზრდება. ასევე ისინიც, ვინც ქვეყნის აღმშენებლობის სიმძიმე საკუთარი ბეჭებით უნდა ზიდოს. არასრულფასოვანი ცხოვრების პირობებით დაინვალიდებული თაობა კი ქვეყნისათვის, პირიქით, მძიმე ტვირთი ხდება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აუცილებელია ქუთაისის თვითმმართველობის მიერ გადაიდგას გადამწყვეტი ნაბიჯები ამ ოჯახების დასაცავად და გადასარჩენად, რაც ჩვენ ასე წარმოგვიდგენია:

1. აღსდგეს ორგანიზაცია, რომელიც 1990 წელს ჩამოყალიბდა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას ხელშეწყობით ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციაში „დემოგრაფიული ფონდის“ სახელწოდებით. ამ ორგანიზაციის მიერ კეთდებოდა ბევრი კარგი საქმე მძიმე სიტუაციაში მყოფი ოჯახებისთვის.

2. გაიზარდოს მრავალშვილიანი დედებისთვის გამოყოფილი დაფინანსება – 200 000 ლარამდე.

3. დღევანდელი მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობის გამო ერის გამრავლების პროცესი მე-6 შვილიდან იწყება. 6 შვილის დედა დღეს ქალაქში გვყავს სულ 12, 5-შვილიანი ოჯახი არ გვყავს 50-იც კი, რაც სავალალო გახლავთ ისეთი დიდი ქალაქისთვის, როგორიც ქუთაისია. მე-5 შვილის გაჩენა და გაზრდა დღევანდელი ქართული ოჯახისთვის გახლავთ უმძიმე ტვირთი. ამ ოჯახების საარსებო მინიმუმს თვიურად შეადგენს 450-500 ლარი. დედა ვერ გააჩენს მე-5 და მე-6 შვილს, თუ სახელმწიფო ვერ შექმნის მისთვის ნორმალური პირობების შექმნას.

4. დედას, რომელსაც ჰყავს 5 და მეტი შვილი, ბოლო შვილზე უნდა დაენიშნოს ყოველთვიური დახმარება მის სრულწლოვანებამდის გრადაციის სისტემით რომლის პრაქტიკაც უკვე არსებობს საქართველოს მთელ რიგ ქალაქებში ადგილობრივი თვითმმართველობისა და საკრებულოების ხელმძღვანელობით. ეს სისტემა გამართლებული იქნება იმდენად, რომ ოთხშვილიან დედებს სახელმწიფო მისცემს სტიმულს მე-5 და მომდევნო შვილების გასაჩენად. ამ დედების წახალისებისა და სტიმულირებისთვის, მათი შვილების განათლების, ყოფითი თუ შრომითი მოწყობისათვის უნდა გადაიდგას კონკრეტული ნაბიჯები!

პატივისცემით: **ლელა ფხაკაძე-ზარანდია** – 5 შვილის დედა, **მარინა დახუნდარიძე** – 9 შვილის დედა, **ნ. ნაცვლიშვილი** – 11 შვილის დედა, **ე. აბულაძე** – 5 შვილის დედა, **ი. ქითმიროვი** – 7 შვილის დედა, **ნანა კაპანაძე** – 6 შვილის დედა, **ქეთინო შალამბერიძე** – 10 შვილის დედა, **მარინა გაბუნია** – 7 შვილის დედა, **ლია დიდბარიძე** – 8 შვილის დედა, **თამარ ჩოგოვაძე** – 7 შვილის დედა, **თეა სარალიძე** – 7 შვილის დედა, **მაია გოშთელიანი** – 8 შვილის დედა, **მაყვალა ჟორჟოლიანი** – 7 შვილის დედა, **მანანა სინატაშვილი** – 7 შვილის დედა.

◉ დასვენება ევრო-ქობულეთურად

# ფრთხილად, მდიდრებს მყუდროება არ დავურღვიოთ!

(მესამე გვერდიდან)

ყველაზე უარესი კი ის იყო, რომ დასვენების ობიექტებში რაღაცა კაპიკებად ისე მაძღრისად გვკვებავდნენ, იმდენ სამკურნალო აბაზანებსა თუ მასაჟებს გვიკეთებდნენ, რომ გასავათებულებს დაძინების თავიც აღარა გვქონდა. ერთი სიტყვით, მიშას მოსწრებული გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ის არაკაცი კომუნისტები საკუთარ მოქალაქეებს კი არ ასვენებდნენ, სიზარმაცესა და მუქთახორობას აჩვევდნენ.

კიდევ კარგი საბაზრო ცხოვრებამ და ნაცმოძრაობამ მოგვისწრო, თორემ ქართველები შრომას საერთოდ გადავეჩვეოდით და მთლიანად გადავგვარდებოდით. რაც მთავარია, დღეს ყველაფერს ფასი დაედო, მათ შორის შრომასაც, რომელიც იმდენად გაძვირფასდა, რომ ქვეყნის უნარიანი მოსახლეობის 70 პროცენტი დაუსაქმებელი დარჩა. მუქთა სანატორიუმები და პანსიონატები დაინგრა და მათ ადგილზე ფეშენებლური, მრავალვარსკვლავიანი სასტუმროები წამოიმართა, სადაც მარტო ერთი ღამის სატუალეტო მომსახურება ასობით დოლარი ჯდება. აღარაფერს ვამბობ მასაჟზე, რომლის სიამოვნება მიშა რომ მიშაა (შესაფერის მასაჟისტს აქ ვერ შოულობს და ამერიკიდან ჩამოყავსძ იმასაც კი მილიონები უჯდება (!ძ.

საოცარია, ასეთ დროს გამოჩნდებიან ხოლმე ადამიანები (მარტო ოპოზიციას არ ვგულისხმობძ, რომლებიც პრეზიდენტის ასეთ ხელგაშლილობას თუ ცრუპენტელობას აქიაქებენ, მაგრამ ასეთები რატომღაც მარტო ყბედობენ და ფაქტობრივად არსებულ რეალობას ვერ ითავისებენ. უფრო მარტივი, გასაგები ენით რომ ვთქვათ, ისინი ვერ ხვდებიან, რომ პრეზიდენტს და ნაცებიდან შერჩეულ მის უახლოეს და უერთგულეს გუნდს, რომელმაც ქვეყნის ეკონომიკაააყვავა, იმავე ქვეყნის გაყიდვის, გაჩუქების, განიავების და თვით შეჭმის უფლებაც კი აქვთ. აღარაფერს ვამბობ კურორტებზე, ამ შემთხვევაში ქობულეთში, ევროპულ ყაიდაზე გაწყობილ სასტუმროებში ლრეობა-დასვენებაზე, რომლის უფლება მხოლოდ მდიდარ ჩინოვნიკებსა და ბიზნესმენებს აქვთ. რალა თქმა უნდა, ჩვენც გვაქვს უფლება, რიგით ადამიანებს, უმუშევრებსა და პენსიონერებს, დავზოგოთ ქვეყნის ბიუჯეტი, დროებით არ ვიხმაროთ დენი, გაზი, გადავვლოთ წამლების ყიდვა სამი-ოთხი დღით, მაქსიმუმ ერთი კვირით, ვეწვიოთ მთისა და ზღვის კურორტებს, ვიქირაოთ ვ-ლარიანი „კოიკები“, ვხვრიპოთ ბორშჩი და წყალწყალა სუპები, მაგრამ ისე, რომ მდიდრებს მყუდროება არ დავურღვიოთ.



ამის აუცილებლობა პირადადაც ვიგრძენი, როცა ქობულეთში, ერთ ჩვეულებრივ საღამოს ზღვაურს ტკბობადაწაფებულმა, ყოფილ სანატორიუმ „საქართველოს“ ტერიტორიასთან მიახლოებისას, ცდუნებას ვერ ვძლიე და მის ადგილზე წამომართული ევროატლანტიკური დიზაინით დამშვენებული ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს ზღურბლის გადალახვა მოვიწადინე.

– საით, ბაბუ, საით გაგიწევიათ? – შემომესმა შავ კოსტიუმში გამოწყობილი დაცვის მუშაკის არც თუ თავაზიანი ხმა.

– არსაით, ახალგაზრდავ, – ვუთხარი მშვიდად, – უბრალოდ სასტუმროს ეზოში შესვლა და ნაგებობისთვის თვალის შევლება მინდა.

– არ შეიძლება! – განმიცხადა კატეგორიულად.

– რატომ კაცო, – ვიუკადრისე, – ჩემ მშობლიურ ქვეყანაში, საკუთარ მიწაზე ფეხის დადგმა ვინ ამიკრძალა?

– საკუთრებამ, ბაბუ, საკუთრებამ.

– ეგ როგორ? – გავიკვირვე.

– ძალიან მარტივად. ეს მიწა, რომელიც ადრე სანატორიუმ „საქართველოს“ ეკუთვნოდა, ერთმა მდიდარმა ბიზნესმენმა იყიდა, ძველი ნაგებობა დაანგრია, ახალი ააშენა და მასში დამსვენებელთათვის საკუთარი ფასები დააწესა, – ამიხსნა დაცვის მუშაკმა.

– თუ საიდუმლო არ არის, ვინაა ამ ყველაფრის ბატონ-პატრონი?

– მას მთელი ქვეყანა იცნობს, იგი ცნობილი ბიზნესმენი და ქველმოქმედი თემურ ჭყონია გახლავთ.

– ვინაა ქველმოქმედი, ბიძიკო, – გავწიწმატდი, – ვიღაც ჭყონია, რომელმაც ჩემ მიწაზე სასტუმრო ააშენა და მის ეზოში შესვლა ამიკრძალა?

– ის მიწა, შენი რომ გეგონა და ბევრ სხვას კიდევ – თავისი, უკვე ჭყონიასია და სრული უფლება აქვს, თუ სასტუმროს ნომერი არ გიქირავებია, არ შეგიშვას, – სცადა კიდევ ერთხელ ჩემი გათვითცნობიერება შავკოსტიუმიანმა.

– ჰოდა, იქნებ მეც ნომრის ასაღებად მოვედი?

– აბა რას ამბობ, ბაბუ, – შემომხედა დამცინავი ღიმილით თანამოსაუბრემ – აქ თითოეული ნომრის ღირებულება 270 დოლარიდან იწყება და 3000 დოლარამდე ადის.

– მერე, რომელი ჭკუათმყოფელი იხდის ამდენს?



– მდიდრები, ბაბუ, მდიდრები. მაგათ იმდენი ფული აქვთ, თუ მოისურვეს, მარტო სასტუმროს ნომერს კი არა, მთელ საქართველოს იყიდიან.

თუ უკვე ნაყიდი არა აქვთ, გავიფიქრე ჩემთვის და იმ სასტუმროდან გველნაკბენივით გამოვბრუნდი. ნაყიდია თუ ნაჩუქარი? ესეც საკითხავია. აგე ნინო ბურჯანაძეს პრეზიდენტმა, როცა მის გვერდით იდგა, წყნეთში მილიონებად ღირებული აგარაკი და მიწა სიმბოლურ ფასში – 1 ლარად მიჰყიდა, მერე კი, როცა განუდგა, იმავე მიწაში ერთ მილიონზე მეტი გადასახადისა და ჯარიმის გადახდა მოსთხოვა. ასევე არიან საააკაშვილის გუნდის სხვა წევრებიც – მერაბიშვილები, ბოკერიები, გაბაშვილები, ახალაიები, ხერხეულიძეები, წიკლაურები და ძმანი მათნი, რომლებიც ქვეყნის მართვის საბაბით იმავე ქვეყნის სიმდიდრეთა სრული მესაკუთრე და მფლობელნი გახდნენ. თანაც როგორი მფლობელნი, იმ მიწაზე, რომელიც ხალხისა იყო და თავად მიიტაცეს, ჩვენი გაჭაჭანებაც არ სურთ. სასტუმროს ვინ ჩივის, მის გასწვრივ პლაჟიც კი შემოულობავთ, რომ მათ გვერდით ღარიბებმა წამოკოტრიალება არ მოისურვონ და მდიდრებს ზღვაზე ნებივრად განცხრომის განწყობა არ გაუფუჭონ. თუ ასე გაგრძელდა, ალბათ მალე ჰაერსაც დაისაკუთრებენ, რათა მათ გვერდით არ ვისუნთქოთ.

ნათქვამია, კატა მეფეს შეხედავსო, საქართველოში კი დემოკრატია იმ სიმაღლეზე აგორდა, ღარიბებს ერთი მუჭა მდიდრების ცქერის უფლებაც წაგვართვეს. არადა ჩვენი ჩაუქი პრეზიდენტი, სადაც კი ტრიბუნაზე შედგება (ეტყობა ტრიბუნა თვითმფრინავით დააქვსძ, წარამარა გვახსენებს, რომ ჩვენ, ქართველები მსოფლიოში ყველაზე ნიჭიერები, ყველაზე დემოკრატები, ყველაზე პატიოსნები, ყველაზე გაბედულები და ეროვნულები ვართ.

ვართ, აბა, არა ვართ...

**ოთარ ხუციშვილი.**

გაერო

# რას ზეიმობს ქართული დიპლომატია

*9 სექტემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული დადგენილების ირგვლივ საუბრები ამ დრომდე არ წყდება. ზოგისთვის მიღებული რეზოლუცია, რომელშიც პირველად დაფიქსირდა ე. წ. სამხრეთ ოსეთის ფაქტორი, მნიშვნელოვანია და ქართული დიპლომატიის გამარჯვებად ფასდება, თუმცა ნაწილი ფიქრობს, რომ შეფასებები გადაჭარბებულია და ქართულ დიპლომატიას საზეიმო არაფერი აქვს.*

**საქართველოს მიერ გენერალურ ასამბლეაში განსახილველად შეტანილი დოკუმენტის პროექტს მხარი 48 სახელმწიფომ დაუჭირა. 19-მა ქვეყანამ მის საწინააღმდეგოდ მისცა ხმა, 78-მა კი თავი შეიკავა. 47-მა სახელმწიფომ კენჭისყრაში მონაწილეობა საერთოდ არ მიიღო.**

კერძოდ, საქართველოსთან დაკავშირებულ დოკუმენტს მხარი **ალბანეთმა, ანდორამ, ავსტრალიამ, ავსტრიამ, აზერბაიჯანმა, ბელგიამ, ბოსნია-ჰერცოგოვინამ, ბულგარეთმა, კანადამ, ხორვატიამ, ჩეხეთმა, დანიამ, ესტონეთმა, ფინეთმა, საფრანგეთმა, გერმანიამ, საბერძნეთმა, უნგრეთმა, ისლანდიამ, ირლანდიამ, იტალიამ, იაპონიამ, ლატვიამ, ლიხშენშტეინმა, ლიტვამ, ლუქსემბურგმა, მალტამ, მონაკომ, მონტენეგრომ, ნიდერლანდებმა, ახალმა ზელანდიამ, ნორვეგიამ, პოლონეთმა, პორტუგალიამ, რუმინეთმა, სანტა-ლუჩიამ, სან-მარინომ, სლოვაკეთმა, სლოვენიამ, ესპანეთმა, შვედეთმა, მაკედონიის იუგოსლავიურმა რესპუბლიკამ, უგანდამ, უკრაინამ, დიდმა ბრიტანეთმა, აშშ-მა და ვანუატუმ** დაუჭირეს.

დოკუმენტის წინააღმდეგ **ალჟირმა, სომხეთმა, ბელარუსმა, ბოლივიამ,**



**კუბამ, კორეამ, ეკვადორმა, ეთიოპიამ, ინდოეთმა, ირანმა, ლაოსმა, ბირმამ (მიანმარი), ნიკარაგუამ, რუსეთმა, შრილანკამ, სირიამ, ვენესუელამ, ვიეტნამმა და ზიმბაბვემ** მისცეს ხმა.

იმ სახელმწიფოებს შორის, რომლებმაც კენჭისყრისას თავი შეიკავეს, **თურქეთიც** ფიგურირებს. აღსანიშნავია, რომ ეს ნატოს წევრი ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც აღნიშნულ რეზოლუციას მხარი არ დაუჭირა.

ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის კი ერთადერთი ქვეყანა, რომელიც ქართული მხარის მიერ ინიცირებული დოკუმენტის წინააღმდეგ წავიდა, **კვიპროსია,** რომელსაც, სხვათა შორის, თავად აქვს დევნილების პრობლემა და ლოგიკური იქნებოდა, დადგენილების პროექტისთვის მხარი დაეჭირა.

საქართველოს საკითხზე მიღებული დოკუმენტის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოწინააღმდეგე ქვეყანა **ინდოეთია,** რომელიც გლობალური გავლენის ერთ-ერთ ცენტრად ყალიბდება. ამასთანავე ინდოეთმა კარგად იცის, რას წარმოადგენს ლტოლვილების პრობლემა (დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ინდოეთში ათეულობით მილიონი ლტოლვილი და იძულებით გადაადგილებული პირი გაჩნდაძ და რაც მთავარია, ჰყავს სეპარატისტები, რომლებიც იარაღით ხელში იბრძვიან ინდოეთიდან გამოყოფისათვის. აღსანიშნავია ასევე, რომ ამ ეტაპზე საქართველოს ამ ქვეყანაში საელჩო არ აქვს და მისი გახსნა უახლოეს მომავალში იგეგმება.

რაც მთავარია, საქართველოს სასარგებლოდ ხმა არ მისცა მისმა უმნიშვნელოვანესმა სავაჭრო პარტნიორმა და მეზობელმა თურქეთმა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით "პირველი" პოლიტოლოგებს და ექსპერტებს გაესაუბრა.

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე ზემოაღნიშნულ შედეგებს „ამერიკის და არა საქართველოს პოლიტიკის ანარეკლად" მიიჩნევს. „მოგეხსენებათ, რომ მსოფლიოში უმნიშვნელოვანესი პროცესები მიმდინარეობს, გარდამავალი პერიოდია და ახალი გადანაწილება ხდება. ჩნდებიან მნიშვნელოვანი მოთამაშეები. ზოგადად კი ამ შედეგებთან დაკავშირებით ის შემიძლია, გითხრათ, რომ ეს ყველაფერი ამერიკის პოლიტიკის ანარეკლია და არა საქართველოსი" – აღნიშნა მან.

გაეროში საქართველოს ყოფილი ელჩი რეზო ადამია დოკუმენტს „ძალზედ საინტერესოდ და მნიშვნელოვნად" აფასებს და ყურადღებას მასში არსებულ „რამდენიმე უმნიშვნელოვანეს პუნქტზე" ამახვილებს. „ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ე.წ. სამხრეთ ოსეთის თემაა. პირველად გაეროს დოკუმენტებში ოსეთის თემა დაფიქსირდა. გარდა ამისა, **პრაქტიკულად პირველად აგვისტოს მოვლენების შემდეგ გაჩნდა დოკუმენტი, რომელშიც ერთმნიშვნელოვნად არის აღნიშნული, რომ აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი საქართველოს შემადგენელი ნაწილებია.** მსგავსი დოკუმენტები აფხაზეთთან მიმართებაში უშიშროების საბჭოში მიღებული რეზოლუციების სახით არსებობდა, მაგრამ აგვისტოს ომის შემდეგ რუსული მხარე უშიშროების საბჭოს ბლოკავდა და დოკუმენტის მიღება აქამდე ვერ მოხერხდა. ასევე ძალზედ მნიშვნელოვანია დოკუმენტში დაფიქსირებული დებულებები დევნილების უპირობო დაბრუნების, მათი ქონების ხელშეუხებლობა და იმის შესახებ, რომ გაეროს გენერალურმა მდივანმა ყოველწლიურად გენერალურ ასამბლეას უნდა წარუდგინოს ანგარიში, თუ რა მდგომარეობაა ამ კონფლიქტების მოგვარების თვალსაზრისით და შესაბამისად, გენერალურმა ასამბლეამ ამ საკითხებზე უნდა იმსჯელოს", - განუცხადა „პირველს" ადამიამ, რომლის აზრით, „მოვიდა დრო, – შეიძლება არა ამ ასამბლეაზე, მაგრამ შემდგომ გენერალურ სესიებზე, ვცადოთ და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების საკითხი შევიტანოთ ასამბლეის დღის წესრიგში".

რაც შეეხება სომხეთის, ბელორუსიის და სხვა ქვეყნების მიერ რეზოლუციის წინააღმდეგ ხმის მიცემას, ყოფილი ელჩი ამას რუსულ პრესინგს უკავშირებს. „ფაქტია, რომ ამ ქვეყნებზე რუსეთმა მოახდინა ზეგავლენა. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ სომხეთის ხელისუფლების სხვადასხვა დონეზე მათ მიერ დაკავებული პოზიციის გარკვეულწილად დეზავუირებას შეეცდებიან. პირველად გუამის ტერიტორიაზე კონფლიქტების საკითხის დღის წესრიგში შეტანა 2004-2005 წლებში ვცადეთ და ვერ შევძელით, რადგან რუსეთის მიერ პრაქტიკულად მოსყიდულნი აღმოჩნდნენ ისეთი ქვეყნების ელჩები, რომლებიც მასზე დიდწილად არიან დამოკიდებული. 2007-ში კი ეს საკითხი უფრო მომწიფდა, საქართველოს დელეგაციამაც უფრო აქტიურად იმუშავა და მოხერხდა კიდეც მისი შეტანა. 2008 წლის განმავლობაში ყველა ველოდებოდით გენერალური მდივნის ანგარიშს, რომელიც ახლა გამოქვეყნდა და შეიქმნა რეზოლუციის ასამბლეაზე გატანის შესაძლებლობა. კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ამით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა" - აღნიშნა მან.

ექსპერტი საგარეო საკითხებში ზურაბ აბაშიძე კი ყურადღებას თურქეთის თავშეკავებაზე ამახვილებს, თუმცა არ თვლის, რომ ეს ოფიციალური ანკარის მხრიდან არამეგობრულ ნაბიჯად შეიძლება შეფასდეს. „ის ფაქტი, რომ თურქეთმა კენჭისყრისას საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისგან თავი შეიკავა, არამეგობრულ ნაბიჯად არ უნდა შეფასდეს. არ გამოვრიცხავ, რომ ეს საკითხი ქართულ მხარესთანაც იყო გავლილი გასულ კვირას თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის თბილისში ვიზიტის დროს" – აღნიშნა მან.

რაც შეეხება სომხეთის პოზიციას, აბაშიძეც იზიარებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ის რუსეთს, კერძოდ, იმ ვალდებულებებს უკავშირდება, რომელიც ერევანს მოსკოვის წინაშე აქვს აღებული.

„მიუხედავად ყველაფერ ამისა, საქართველოსთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ეს რეზოლუცია დამტკიცდა" – დასძინა ექსპერტმა.

ექსპერტი პაატა ზაქარეიშვილი დარწმუნებულია, რომ მიღებული დოკუმენტი ქართული დიპლომატიის გამარჯვებად არ უნდა ჩაითვალოს. „ეს მართალია, ნორმალური დოკუმენტია, მაგრამ ძირითადში გადმოწერილია წინა რეზოლუციებიდან. ამასთან, საყურადღებოა, რომ საქართველოს ბედი 198 ქვეყნიდან მხოლოდ 49-ს ადარდებს" – აღნიშნა მან.

ამასთან, ექსპერტი დამაფიქრებლად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ მეზობელი ქვეყნებიდან საქართველომ მხოლოდ აზერბაიჯანის მხარდაჭერა მოიპოვა, თურქეთმა რუსეთის პოზიცია გაითვალისწინა და კვიპროსიც კი, რომელსაც ანალოგიური პრობლემები აქვს, არ შევიდა საქართველოს მდგომარეობაში" – დასძინა ზაქარეიშვილმა.

**ლევან ჭითანავა,**
**საინფორმაციო სააგენტო „პირველი"**

## დედამიწის ზურგზე



**ტაჯიკეთი მოითხოვს 300 მილიონ დოლარს წელიწადში რუსეთის სამხედრო ყოფნის გამო**

**ტაჯიკეთი და რუსეთი განიხილავენ საკითხს რუსეთის 201-ე სამხედრო ბაზის ყოფნის შესახებ, რომელიც განთავსებულია რესპუბლიკაში. საინფორმაციო წყაროს მონაცემებით, განხილვა მძიმედ მიმდინარეობს, მხარეები ჯერჯერობით ვერ მივიდნენ შეთანხმებამდე. ვარაუდობენ, რომ ხელშეკრულებას ხელი მოეწერება ამ შემოდგომით.**

**აშშ-მა წამოაყენა წინადადება, უბირთვო მსოფლიო შეიქმნას ირანიდან და ჩრდილოეთ კორეიდან**

**ვაშინგტონის მიერ შემუშავებულ რეზოლუციას ბირთვული იარაღის წარმოების შეწყვეტისა და მისი გაუვრცელებლობის შესახებ განიხილავს 24 სექტემბერს გაეროს უშიშროების საბჭო. პირველად ისტორიაში სხდომას სათავეში ჩაუდგება პირადად ამერიკის პრეზიდენტი. მთავარი დამრღვევები – ძველებურად თეირანი და ფხენიანია, თუმცა „საკმარისი მიეზლოთ" ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეებსაც.**



**ნორვეგიაში ცეცხლი გაუჩნდა რუსულ ავტობუსს**

**სალონში რუსი მეზღვაურები იმყოფებოდნენ, რომლებიც მურმანსკიდან საზღვაო ქალაქ ტრომსში მიემგზავრებოდნენ ნორვეგიის ჩრდილოეთით. 34-მა მგზავრმა და ორმა მძღოლმა მოასწრეს ავტობუსიდან გამოსვლა, რომელსაც უცნობი მიზეზის გამო ცეცხლი გაუჩნდა. ყველა მათგანმა საექიმო დახმარების შემდეგ განაგრძო თავისი გზა.**

**პენტაგონი თურქეთს მიჰყიდის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსს 7,8 მილიარდ დოლარად**

**ამ კომპლექსის დანიშნულებაა ბრძოლა თვითმფრინავებთან და ფრთიან რაკეტებთან, მაგრამ მათ შეუძლიათ აგრეთვე ჩამოაგდონ ტაქტიკური უპილოტო რაკეტებიც. ანკარას სურდა შეესყიდა 72 სრულყოფილი რაკეტა 13 გამშვებ დანადგართან და სხვა თანმხლებ მოწყობილობასთან ერთად.**

**მექსიკაში დააპატიმრეს 30 პოლიციელი ნარკომაფიასთან კავშირის ეჭვით**

**ეს პოლიციელები მჭიდროდ თანამშრომლობდნენ შეიარაღებულ ბანდა „ლოს-სეტასის" ბოევიკებთან, რომლებიც შედიან დიდი ნარკოტიკული კარტელის შემადგენლობაში. თავიანთი მომსახურებისთვის პოლიციელები ღებულობდნენ ფულად სარგებელს კრიმინალური დაჯგუფებისგან. ივნისის ბოლოს იქვე, შტატ იდალგოში დააკავეს 92 წესრიგის დამცველი ორგანიზებულ დანაშაულობასთან კავშირისთვის.**



მკლავჭიდი

# „ოქრო-ვერცხლი“ როსოლინადან

**ამიერიდან იტალიის ქალაქ როსოლინას ტკბილად მოიგონებენ ქართველი მკლავჭიდელები. მიზეზი ის ჯილდოები გახლავთ, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩვენმა თანამემამულეებმა მოიპოვეს.**

ოქროს მედლებით ბრუნდებიან სამშობლოში გენადი კვიკვინია (უფროსები, 110 კგ.ძ და ნიკოლოზ მაღლაფერიძე (ახალგაზრდები, 65 კგძ, ხოლო გიორგი ასუმბანმა (ახალგაზრდები, 70 კგძ მეორე ადგილი დაიკავა.

აღსანიშნავია, რომ სამივე მათგანმა წარმატებას მემარჯვენეთა ტურნირში მიაღწია.

ხელბურთი

# „პაფოსთან“ — პათოსით



**საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის გამარჯვებულმა დედაქალაქის „თბილისმა“ ევროპის ფედერაციის თასზე კვიპროსში ორი მატჩი გამართა.** ჩვენმა ბიჭებმა (ანდრიაძე, გონჩაროვი, კალანდაძე, წივწივაძე, მაისურაძე, გელაშვილი, ქუთათელაძე, ქარდავა, ამირანაშვილი, იობაშვილი, ყაველაშვილი, სამარაღანაშვილი, თევზაძე)ძ ორივე ორთაბრძოლა ალმავლობით ჩაატარეს და მეტოქეს 33:30 და 32:25 სძლიეს. მეორე რაუნდი ოქტომბერშია დაგეგმილი. „თბილისი“ ლისაბონის „ბენფიკას“ დაუპირისპირდება.

ჩოგბურთი

# მათ ისტორია გადაწერეს

**ამერიკის წლევანდელ ღია ჩემპიონატს ისტორიული შეგვიძლია ვუწოდოთ. თუ რატომ, ახლავე მოგახსენებთ.**

ქალთა ტურნირის ტრიუმფატორმა კიმ კლისტერსმა „ფლეშინგ მედოუს“ კორტებზე ოთხწლიანი შესვენების შემდეგ იპირველა, მაგრამ უფრო მნიშ-



ვნელოვანი ის გახლავთ, რომ 29 წლის ბელგიელამდე არავის მიუღწევია ასეთი წარმატებისთვის დედის ამპლუაში. დიახ, როგორც ცნობილია, შარშან მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს ქალიშვილი შეეძინა, პროფესიულ სპორტში დაბრუნების უკეთესი საჩუქრით აღნიშვნა კი, დაგვეთანხმებით, ძნელი წარმოსადგენი იყო. დავსძენთ, რომ სწორედ კლისტერსმა გადაუღობა ფინალისკენ მიმავალი გზა მასპინძელთა კერპებს — დებ სერენა და ვინუს უილიამსებს, გადამწყვეტი ბრძოლა კი პოლონური წარმოშობის დანიელ ლამაზმანს კაროლინ ვოზნიაცკის მოუგო — 7:5, 6:4.

არ ვიქნებით ობიექტურნი, თუ დითირამბებს არ მივუძღვნით 17 წლის ამერიკელ ვუნდერკინდს მელანი ოუდინს, რომელმაც, არც მეტი, არც ნაკლები, ოთხ რუს ფავორიტს დააყრევინა ფარ-ხმალი (პავლიუჩენკოვა, საფინა, შარაპოვა, პეტროვაძ. რომ არა კუნთის ტრავმა, ვინ იცის, ოუდინს იქნებ მთავარი პრიზიც მოეპოვებინა.

კიდევ უფრო საინტერესოდ განვითარდა მოვლენები ვაჟთა ასპარეზობაში, სადაც დიდი მუზარადის ტურნირების თხუთმეტგზის გამარჯვებულის როჯერ ფედერერის ჰეგემონია დაემხო. და იცით, ვინ მოახერხა ეს? — 20 წლის არგენტინელმა ხუან მარტინ დელ პოტრომ, რომელმაც მანამდე ენდი მარეი და თვით რაფაელ ნადალი დაამარცხა. სხვათა შორის, ორმეტრიანი სამხრეთამერიკელი გიგანტი მიზანთან ახლოს წლევანდელ „როლან გაროსზეც“ იყო, როცა შვეიცარიელ გენიოსს 2:0-ს უგებდა, თუმცა მაშინ ძალები ბოლომდე აღარ ეყო და შემდგომში სამი პარტია მრისხანე მეტოქეს დაუთმო. ისიც სათქმელია, რომ გუშინდელი ფინალის მოგების შემთხვევაში ბაზელის მკვიდრი ზედიზედ მეექვსედ აღზევდებოდა „იუეს ოუფენის“ ტახტზე (უნიკალური შედეგი!)ძ, მაგრამ..

**და ბოლოს:** დელ პოტრო მეექვსე არგენტინელია, ვინც ასე მაღლა აფრინდა.



პრესკონფერენცია

# შტანგა ჩვენი სიხარულისა



**უკვე გაუწყეთ, რომ ისრაელის ქალაქ ეილათში დამთავრდა ჭაბუკ ძალოსანთა ევროპის პირველობა, რომელშიც ქართველ სპორტსმენთაგან ქუთაისელმა გიორგი ლომთაძემ (62 კგ.ძ და ჩაქველმა ვილიამინ ალექსიძემ (94ძ ორჭიდის ჯამში ჩემპიონობა მოიპოვეს, ამასთანავე, ლომთაძემ ატაცსა და აკვრაში, ხოლო ალექსიძემ აკვრაში მცირე ოქროს მედლები დაიმსახურეს**. საქართველოს ნაკრები უმაღლესი ჯილდოებით მხოლოდ ალბანელთა გუნდს ჩამორჩა, სამაგიეროდ, რუსეთის, ბულგარეთის, თურქეთისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებს გაუსწრო.

გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის სააქტო დარბაზში ისრაელიდან დაბრუნებულმა ძალოსნებმა პრესკონფერენცია გამართეს. შეჯიბრების პერიპეტიებზე ძალოსნობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა რამაზ გურგენიძემ ილაპარაკა. ჩემპიონებს წარმატება მიულოცეს ოლიმპიურმა ჩემპიონმა, პარლამენტარმა გიორგი ასანიძემ და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ გია გალდავამ.

კოკასა შიგან...

# ფრთხილად, მიხიჩ!



**ახლახან დიღმის საწვრთნელ ბაზაზე გამართულ პრესკონფერენციაზე კიდევ ერთხელ გამოიჭენა თავი საფეხბურთო სამყაროს მშვენებამ რევაზ ძოძუაშვილმა.**

ამ აღიარებულმა ინტელექტუალმა არც აცია, არც აცხელა და ქართული ფეხბურთის ამჟამინდელი კატასტროფული მდგომარეობა ჟურნალისტებს დააბრალა, თანაც, როგორც კი ჩვენმა ზოგიერთმა კოლეგამ შეპასუხება გაბედა, მაშინვე პირი აიმყრალა და იძაურობა ქუჩური გარჩევების ობიექტს დაამსგავსა.

რაც შეეხება პატივცემული საზოგადოების შეკრების მიზეზს, იგი წინა დღეს „ტელეიმედით“ გასულმა სიუჟეტმა გამოიწვია, რომლის ავტორიც — გოდერძი შარაშია ფრონტის ხაზზე არ გამოცხადდა და აღვირახსნილი „მიხიჩას“ აგრესიის მოგერიება ზემოთ უკვე ნახსენებ კალმოსნებს მოუწიათ.

რასაკვირველია, ტონის აწევას ვერც პრესის წარმომადგენლებს მოვუწონებთ — მათ, უპირველესად, საკუთარი თავისა და პროფესიისთვის უნდა ეცათ პატივი, მაგრამ ვინ მისცა კუნთების ათამაშების უფლება პიროვნებას, რომლის პოპულარობაც მნიშვნელოვანწილად სწორედ მასმედიის დამსახურებაა?

სხვათა შორის, უკვე დასახელებულ სიუჟეტში ძოძუაშვილმა ევროპის ლიგაში გამართული თბილისის „დინამოსა“ და ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას“ საპასუხო მატჩის შედეგის შესახებ გამოთქმული ეჭვი — აქაოდა ჩაწყობილი იყოო — გარკვეულწილად დაადასტურა კიდეც, მაგრამ „თეთრ-ლურჯთა“ ბანაკში მისულმა, როგორც მედროვეს შეშვენის, უკვე საპირისპირო პოზიცია დაიკავა და ქვეყნის საუკეთესო კლუბს ვექილადაც დაუდგა.

აი, ასეთი მორალის სულიერი რომ დაგიწყებს ჭკუის სწავლებას, ისაა აუტანელი, თორემ დასაშვებ ფორმებში კრიტიკა დიახაც მისაღები და გასათვალისწინებელია.

ამაზეა ნათქვამი — ახია ჩვენზეო. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე თვის წინათ ჟურნალისტებს კახი კალაძე აუმხედრდა და, ეტყობა, ამიტომაც დაისაჯა იტალიელებთან ავტოგოლებით. ასე რომ, ფრთხილად, მიხიჩ!

**გია პლატონიშვილი**

ინტერნეტიდან




## კასტერ სემენია მაინც ჩემპიონად დარჩება

**მიუხედავად იმისა, რომ უკვე დიდი ხნის წინ დამთავრდა მძლეოსნობაში მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც ბერლინში გაიმართა, მაინც არ წყდება ჭორები სამხრეთ აფრიკელ კასტერ სემენიას კაცობისა თუ ქალობის შესახებ. ეს კი იშვიათი შემთხვევა არ არის.**

მართალია, 18 წლის მორბენალი ათასნაირ ტესტებზე გაატარეს, მაინც გადაწყვეტით ვერ თქვეს „ჰო“ თუ „არა“.

ფაქტი ერთია, რომ სემენია მსოფლიო ჩემპიონი გახდა ქალთა შორის 800 მეტრზე სირბილში და ოქროს მედალს, ალბათ, მას ველარ ჩამოართმევენ.

## თუ კაპელოს არ დაემორჩილებიან

**მთელ ინგლისს უხარია, რომ ფეხბურთის სამშობლოს ნაკრები მოხვდა 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ჯგუფში და სამხრეთ აფრიკაში იბრძოლებს მაღალი ტიტულის მოსაპოვებლად.**

მაგრამ ინგლისურ ნაკრებს, უფრო სწორედ მის ფეხბურთელებს ერთი პრობლემა მაინც შეექმნათ.

ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა დონ ფაბიო კაპელომ განაცხადა, რომ ნაკრები სამხრეთ აფრიკაში მიდის ფეხბურთის სათამაშოდ და არა გასართობად — ცოლებთან დროის სატარებლად.

„ვფიქრობ, რომ ჩვენი გუნდი მსოფლიო თასის გათამაშებაზე ძალზე დიდხანს დარჩება, მოთამაშეებს ექნებათ მხოლოდ ერთი დღე ოჯახთან ურთიერთობისთვის, ყოველი თამაშის შემდეგ, — განუცხადა ჟურნალისტებს ნაკრების იტალიელმა მწვრთნელმა, — ეს საკმარისია, მე მომწონს, როცა საწვრთნელი ვარჯიშის დროს გუნდი იკვრება. ჩვენ კი ვაპირებთ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში სათამაშოდ და არა დასასვენებლად ჩასვლას“.



ასე რომ, ქალბატონებს და საქალბატონოებს, შორეულ აფრიკაში ჩასვლას რომ აპირებენ, დროსტარება ერთმანეთთან მოუწევთ. რაც მთავარია, თავად ფეხბურთელებს მწვრთნელის ასეთი გადაწყვეტილება სამართლიანად მიაჩნიათ.

ჩვენზე

# მაგ სიმართლით ევლოს...

**საქართველოსადმი „კეთილგანწყობით" გამორჩეული მოსკოვური „კომსომოლსკაია პრავდა" (ჯეროვანი მივუზღათ საბჭოური სახელწოდებისადმი მრავალწლოვანი ერთგულებისათვის) 2 სექტემბრის ნომერში გამოეხმაურა 30 აგვისტოს განმუხურში მომხდარ და უკვე „ისტორიულად" ქცეულ ფაქტს (თბილისში რუსეთული პრესა რამდენიმე დღის დაგვიანებით მოდის). გთავაზობთ ამ პატარა წერილის სრულ ტექსტს.**



„ზეიმობს ბოთინკების მტყორცნელთა საერთაშორისო საზოგადოება (ბუშზე იერიშის მიმტანი ერაყელი ჟურნალისტის გმირობის შემდეგ ის ნაღდად უკვე არის); ბოლოს და ბოლოს აღსრულდა! ეს პირველი პირდაპირი მოხვედრაა! მიზანი დაზიანებულია! ფეხსაცმლის სნაიპერმა კვირადღეს გულგრილად „დაცხრილა" საქართველოს უზედური პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.

სახელმწიფოს მეთაური იმ მომენტში ტელეინტერვიუს იძლეოდა სოფელ განმუხურის პლაჟზე, აფხაზეთის საზღვარზე (? – **ლ.გ.**) რომ არის. ტელეკამერამ აღბეჭდა პრეზიდენტის სხეულზე ბოთინკით მუხანათური დარტყმა, ოღონდ ამ კადრებმა ქართულ ტელეეკრანებამდე ვერა და ვერ მიაღწია; სააკაშვილის ადმინისტრაციაში განაცხადეს, რომ ფეხსაცმელი მიზასთვის არ უსვრიათ, თუმცა ადგილობრივი ჟურნალისტები სხვაგვარად ფიქრობენ.

აქვე სათქმელად, ბოთინკმტყორცნელმა პოლიტიკური სპორტის საკუთარ სახეობაში კიდევ ერთი რეკორდი დაამყარა – ქართველთა სპეცსამსახურებმა ის ვერც კი დააკავეს, თანაც საპატიო მიზეზით – ერთობ სწრაფად გარბოდა".

აი აქ კი ჩაფლავდა რუსი ჟურნალისტი! ვერ გაერკვა, რომ ახალგაზრდა ტუფლმტყორცნელი ჯიმშერ ჭაფანძე არამცთუ მალე დააკავეს ჩვენმა მარჯვე სპეცსამსახურებმა, არამედ კიდევ უფრო მარჯვე ზუგდიდელმა მოსამართლემ პირველ სექტემბერს, დილის (თუ ღამის) 4 საათზე (! – **ლ.გ.**) კიდევაც გაასამართლა, მკვლელობის მცდელობა შეაწერა (?? – **ლ.გ.**) და 7-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა.

შევუნდოთ მოსკოველ კალმოსანს, თუ ვერ მოასწრო პირველი სექტემბრის ამბის გამომზეურება მშობლიური გაზეთის 2 სექტემბრის ნომერში – წინ მთელი თვე აქვს...

არა, ისე თუ წარმოგიდგენიათ გვარიანი მანძილიდან ფეხსაცმლით იმხელა მასის მქონე ფიგურის განგმირვა, ჩვენი პრეზიდენტი რომაა! აფერუმ თემიდას ზუგდიდელი მსახურის ოპერატიულობასა და პირველი პირისადმი ერთგულებას! მაგ სიმართლით ევლოს სამართლის გზაზე, ჩვენ კი იმედი დავიტოვოთ, რომ დიდსულოვნებითაც გამორჩეული ბატონი სახელმწიფოს მეთაური პირველი შესაძლებლობისთანავე შეიწყალებს მასზე ტუფლაღმართულ 31 წლის ჯიმშერ ჯაფანძეს, სხვათა შორის, 3 პატარა შვილის მამასა და მგონი, ქვრივს...

**ლუკა გორგაძე**

ჩრდილოეთში

# მეტროს სადგური უბელადოდ

**ერთწლიანი რემონტის შემდეგ მოსკოვში გაიხსნა მიწისქვეშა სადგურის „კურსკი – წრიულის" ვესტიბიული. ფასადს პირვანდელი სახე მისცეს – როგორიც 1950 წელს იყო...**



ერთ წელიწადში გაარემონტეს სამსახურებრივი შენობები, დააყენეს სიგნალიზაცია, შეცვალეს ესკალატორები, ვენტილაცია, სანტექნიკის კომუნიკაციები, სახანძრო და კვამლსაცავი სისტემები.

ერთადერთი, რაც ახალ სადგურს ძველისაგან განასხვავებს – სტალინის სკულპტურის უქონლობაა. მონუმენტი ჯერ კიდევ საბჭოურ წლებში დაამსხვრიეს, პიროვნების კულტთან ბრძოლის დროს. რესტავრატორებმა გადაწყვიტეს, რომ არ ღირს ქანდაკების აღდგენა.

რა გასაკვირია, როცა ბელადის ძეგლს რუსეთის დედაქალაქში კი არა, მშობლიურ გორში მდგარსაც გამოუცხადეს ბრძოლა ნაცმოელმა „რეფორმატორებმა" თუ **სოროს**კიპოდან გამოჩეკილმა იდეოლოგებმა და წითელი საღებავი შეასხეს. ხმები დადის, რომ „სამაგიეროდ" გორში, იმ ადგილას, სადაც შარშან აგვისტოში, რუსეთული თვითმფრინავის ხმაზე ჩვენი ჩაუქი და მოქალადე პრეზიდენტი მიწას გაეკრა, მემორიალური დაფის დადგმას აპირებენ სათანადო წარწერით..

**თამაზ ილმელი**

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში"

99-62-77; 899 32-85-76.

## არბიტრაჟის უწყება

## საქმე № 87-2009

**შპს „საქმშენს", თბილისი, თაბუკაშვილის ქ. № 47,** საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟი **2009 წლის 30 სექტემბერს, 15 საათზე,** მისამართზე: თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი № 50, მე-2 სართული, გიბარებთ მოპასუხის სახით საქმეზე **ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას"** საარბიტრაჟო პრეტენზიის გამო **შპს „საქმშენის" და შპს „შანის"** მიმართ, თანხის დაკისრებისა და ქონების რეალიზაციის შესახებ.

**გამოუცხადებლობის შედეგები**

„კერძო არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონის 26-ე მუხლის თანახმად, თუ გამამართლებელი მიზეზების გარეშე მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში ან არ წარმოადგენს თავის პოზიციას მხარეთა მიერ დადგენილი ვადის განმავლობაში, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მეორე მხარე ითხოვს განხილვის გადადებას.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების 7.7 მუხლის თანახმად, თუ საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა მხარე, რომელიც გაფრთხილებული იყო 7.3 მუხლით დადგენილი წესით, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მისი დასწრების გარეშე. თუ მხარე საპატიო მიზეზით ორჯერ არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, იგი ვალდებულია უზრუნველყოს შემდგომ სხდომაზე თავისი ან თავისი წარმომადგენლის სავალდებულო და აუცილებელი დასწრება, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე განიხილება მისი დასწრების გარეშე.

სულიერება



# თბილისს მეორე სინაგოგა შეემატა

**თბილისში, ლესელიძის ქუჩაზე აღდგენილი სინაგოგა გაიხსნა. ღონისძიებას საქართველოს პრეზიდენტი და მთავრობის წევრები, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან სპეციალურად ამ დღისთვის ჩამოსული ებრაული დიასპორის წარმომადგენლები დაესწრნენ.**



„დღეს მნიშვნელოვანი დღეა, რადგან თბილისში აღდგა მეორე სინაგოგა. ეს არის სიმბოლო ებრაელების კვალის და მათი მონაწილეობის საქართველოს ისტორიაში. საქართველოში არ არსებობენ პრივილეგირებული ეთნიკური ჯგუფები, საქართველო ეკუთვნის ყველა ეთნიკურ ჯგუფს, რომელიც ამ ქვეყნის პატრიოტია", – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა სინაგოგას გახსნის ღონისძიებაზე.

შეგახსენებთ, რომ ებრაული სალოცავი თბილისის ძველ უბანში საუკუნეზე მეტი ხნის წინათ აშენდა, მისი რესტავრაცია კი ერთი წლის წინათ დაიწყო.

**ჯი-ეიჩ-ენი**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**

**ვ. სანიკიძის სახელობის ომის ვეტერანთა კლინიკური ჰოსპიტლის ადმინისტრაცია და მედპერსონალი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი, კლინიცისტი და ჯანდაცვის ორგანიზატორი, ომის ვეტერანთა კლინიკური ჰოსპიტლის დამაარსებელი და მისი დირექტორი 1978-2004 წწ. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი**

**ვლადიმერ დავითის ძე სანიკიძე**

**ვ. სანიკიძის სახელობის ომის ვეტერანთა კლინიკური ჰოსპიტლის ადმინისტრაცია და მედპერსონალი სამძიმარს უცხადებს ჰოსპიტლის სამკურნალო სამსახურის უფროსს ეკატერინე სანიკიძეს მამის**

**ვლადიმერ დავითის ძე სანიკიძის**

**გარდაცვალების გამო.**

**გიორგი მაცაბერიძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აკადემიკოსი**

**ვლადიმერ სანიკიძე**

**და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

ინფორმაცია

## თურქეთში კიდევ ერთი ქართველი დაიღუპა

**თურქეთში ავტოავარიის შედეგად ერთი ქართველი დაიღუპა. ერთმანეთს სამგზავრო ავტობუსი და ჯიპის ტიპის ავტომანქანა შეეჯახა. შეჯახების შედეგად ჯიპში მსხდომი ექვსივე მგზავრი, მათ შორის ერთი ქართველი – ლაშა ცაგარეიშვილი ადგილზე დაიღუპა. სხვა გარდაცვლილები სომხეთის მოქალაქეები იყვნენ.**

შემთხვევის ადგილზე მაშველები რამდენიმე წუთში მივიდნენ, თუმცა მანქანიდან ცხედრების ამოყვანას სამი საათი მოანდომეს.

რაც შეეხება ავტობუსის მგზავრებს, დაღუპულები არ არიან, დაშავებულები კი ადგილობრივ საავადმყოფოებში გადაიყვანეს.

## ზუგდიდს ტერორისტები შეეჩვივნენ

**რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი თემურ იაკობაშვილი ზუგდიდში მომხდარ აფეთქებას ტერაქტად აფასებს.**

როგორც იაკობაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, „ეს იყო მიზანმიმართული პროვოკაცია, რომელიც მოსახლეობის დანიშნებას ისახავდა მიზნად".

შეგახსენებთ, რომ გუშინ, გამთენიისას ზუგდიდის რკინიგზის სადგურში აფეთქება მოხდა. აფეთქდა ზუგდიდი-თბილისის ჩქაროსნული მატარებლის ბოლო ვაგონი. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა. მატარებელი თბილისის მიმართულებით 10 საათზე უნდა გასულიყო. წინასწარი ინფორმაციით, აფეთქება მატარებლის ლიანდაგზე დამონტაჟებულმა ტროტილმა გამოიწვია.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## დღის კალენდარი

16 სექტემბერი




ამოდის 05.41
ჩადის 18.08

ამოდის 17.45
ჩადის 03.08

**წლის 259-ე დღე – ახალ წლამდე დარჩა 106 დღე.**

**მე-15 შვიდეული სულთმოფენობიდან. ოთხშაბათი.**

**ხსენება მღვდელმოწამე ანთიმოზისა** – ნიკომიდიელი ეპისკოპოსისა და მისთანა მოწამე თეოფილე დიაკონისა, დოროთესი, მარდონისა, მიგდონისა, პეტრესი, ინდისისა, გორგონისა, ზენონისა, დომნა ქალწულისა და ექვთიმესი (302წ; ღირსი თეოქტისტესი, თანამმარხველისა დიდისა ექვთიმესი (467წ; მღვდელმოწამე არისტიონისა – ალექსანდრიელ ეპისკოპოსისა; წმიდა იოანიკესი – სერბიის პატრიარქისა (1349წ; წმიდა თეზე დიაკონისა (Iწ; მოწამე ვასილისა ნიკომიდიელისა (309წ.

### დაიბადნენ:

1387 – **ჰენრიხ IV,** ინგლისის მეფე, უზადლო მეომარი.
1462 – **პიეტრო პომპონაცი,** იტალიური აღორძინების ერთ-ერთი წამყვანი ფილოსოფოსი.
1745 – **მიხეილ კუტუზოვი,** რუსი მხედართმთავარი. გარდაიცვალა 1813 წელს.
1921 – **ოთარ ჯაფარიძე,** ისტორიკოსი, აკადემიკოსი.
1930 – **ნოდარ გურაბანიძე,** თეატრმცოდნე, პროფესორი.
1953 – **მიკი რურკი,** ამერიკელი კინომსახიობი.

### გარდაიცვალნენ:

1380 – **კარლოს V ბრძენი,** საფრანგეთის მეფე.
1498 – **ტომაზო ტორკვემადა,** ესპანეთის პირველი დიდი ინკვიზიტორი.
1824 – **ლუდოვიკო XVIII,** საფრანგეთის მეფე.
1911 – **მიხეილ თამარაშვილი,** ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე.
1932 – **რონალდ როსი,** ინგლისელი პარაზიტოლოგი.
1977 – **მარია კალასი,** ოპერის მომღერალი.

### მოვლენები:

**1812 წელი** – ხანძარი ნაპოლეონისთვის დატოვებულ მოსკოვში.
**1848 წელი** – საფრანგეთის ყველა ტერიტორიაზე გაუქმდა მონობა.
**1940 წელი** – ამერიკაში გამოვიდა კანონი სამხედრო ვალდებულების შესახებ.
**1967 წელი** – საბჭოთა კავშირმა სემიპალატინსკში ბირთვული გამოცდა ჩაატარა.
**1978 წელი** – ქალაქ თებესში (ირანი) მომხდარმა მიწისძვრამ 25 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.
**2000 წელი** – გაიხსნა ოლიმპიური თამაშები სიდნეიში (ავსტრალია).

**ღირსსახსოვარი დღეები**

**მექსიკა** – დამოუკიდებლობის დღე
**პაპუა-ახალი გვინეა** – დამოუკიდებლობის დღე
**მალაიზია, სინგაპური** – დამოუკიდებლობის დღე.

**მედიანიუსი**

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



1 აშშ 1.6775 ლარი
1 ევრო 2.4002 ლარი
1 გირ. სტ. 2.7680 ლარი
1 რუბლი 0.3162 ლარი
1000 სომ. დრამა 4.4638 ლარი
1 აზ. მან. 2.0867 ლარი
10 უკრ. გრივნა 2.1127 ლარი
1 თურქ. ლირა 1.1323 ლარი
10 ჩინ. იუანი 2.4558 ლარი



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +18 – +24 |
| ქუთაისი. | +18 – +22 |
| ბათუმი. | +20 – +21 |
| ზუგდიდი. | +16 – +23 |
| თელავი. | +15 – +21 |

## ჯანმრთელობა

### ყურძნის წიპწები ბაქტერიებს ანადგურებს



**როგორც კანადელი მეცნიერები აცხადებენ, ყურძნის წიპწები ბუნებრივი საკვები კონსერვატია, რომელსაც შეუძლია შეაჩეროს საშიში ბაქტერიების გამრავლება.**

ტანინებს, რომლებიც, როგორც ამბობენ, ყურძნის უსარგებლო წიპწებიდან გამოიყოფა, შეუძლია, დათრგუნოს ბაქტერიების სხვადასხვა შტამების განვითარება, ლისტერგიების ჩათვლით, რაც საშიში ინფექციების წყაროა.

ექსპერტებმა შეიმუშავეს ყურძნის იმ წიპწების გადამუშავების ახალი მეთოდი, რომლებსაც ჩვეულებრივად ჰყრიდნენ ან წვავდნენ.

### ულტრაიისფერი გამოსხივება მავნეა ქალებისთვის



**დიახ, ულტრაიისფერი გამოსხივება უფრო საშიშია ქალებისთვის, ვიდრე კაცებისთვის, ამტკიცებენ ამერიკელი სპეციალისტები. კაცობრიობის მშვენიერ ნახევარში მან, შესაძლოა, გამოიწვიოს ზოგიერთი აუტოიმუნური დაავადება.**

გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ ქალებში, რომლებიც ცხოვრობენ მზის აქტივობის მაღალი დონის ქალაქებში, ხშირად ვითარდება ვაგნერის დაავადება (დერმატომიოზიტი), კუნთების სისუსტეც რომ ახასიათებს.

მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ქალის ორგანიზმი რეაგირებს მზის სხივებზე მამაკაცებისგან განსხვავებით. ექსპერიმენტების დროს საექსპერიმენტო დედალ თაგვებს მზის ზემოქმედებით სწრაფად ეწყებოდათ კანის ანთება.

### გრეიპფრუტი კიბოს მკურნალობაში დაგვეხმარება

**ციტრუსების სამკურნალო თვისებები დიდი ხანია, ცნობილია. ისინი, ვიტამინის მაღალი შემცველობის წყალობით, კარგად გვიცავენ გაცივებისგან, ასევე გვიმაღლებენ იმუნიტეტს. ამერიკელი მეცნიერები აცხადებენ, რომ გრეიპფრუტის წვენის ყოველდღიური სმა შესაძლებელს ხდის, შვიდჯერ გაიზარდოს პრეპარატის ეფექტურობა და აქვეითებს სიმსივნის საწინააღმდეგო წამლების ნეგატიურ არასასურველ ეფექტს.**



პაციენტების დაახლოებით 25 პროცენტს, გამოკვლევებში რომ მონაწილეობდნენ, დაეწყო რემისია. მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ მათი აღმოჩენა დაეხმარება ონკოლოგიურ ავადმყოფებს, აგრეთვე კარგი პროფილაქტიკური ეფექტი ექნება ჯანმრთელი ადამიანებისთვისაც.

**უცხოური პრესის მიხედვით**

გაზეთის დღევანდელი ნომერი ორმოცდარვაგვერდიანია

## კადრი



რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

## ანეკდოტები

– ქვირფასო, უნდა გამოგიტყდე, რომ სადილის მომზადება არ ვიცი, – ეუბნება ქორწინების სახლთან საპატარძლო საქმროს.
– ნუ ნერვიულობ, საყვარელო, სადილის მომზადება არ მოგიწევს, რადგან მე საამისოდ ფულის გამომუშავება არ ვიცი...

* * *

– გეთაყვა, მაჩვენეთ, თუ შეიძლება, რაიმე პიჯაკებიდან.
– შარვლებიდან არაფერი გაჩვენოთ?

* * *



– ქალბატონო, უკაცრავად, მაგრამ ტრუსები გაქვთ? – ეკითხება მეგრელი გამყიდველს.
– არა.
– არც გასაყიდი?

* * *

სვანმა ცოლი საავადმყოფოში დააწვინა და სახლში ბავშვთან ერთად დარჩა. დილით ადგა, შვილი ასაუზმა და საბავშვო ბაღში წაიყვანა. რომელ ბაღსაც არ მიაკითხა, ბავშვი არსად არ დაიტოვეს, ჩვენი არ არისო. ამასობაში დიდი დრო გავიდა.
– მამა, – ეუბნება შვილი, – ჩვენ იმდენს ვივლით, რომ სკოლაში დამაგვიანდება.

* * *

ქმარი სანადიროდ ემზადება. ზურგჩანთა სანოვაგით აივსო და ჭიშკარი გაიხურა.
ცოლმა აივნიდან გადმოსძახა:
– დაბრუნდი, თოფი დაგავიწყდა!
– არ დავბრუნდები, ბედი მიმტყუნებს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

# დანარჩენი გვერდები რეკლამა იყო